კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

სამართლის ფაკულტეტი

სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

მერი კეთილაძე

რეაბილიტაციის რეჟიმი როგორც ვალაუვალობის წარმოების მონაწილეთა ინტერესების განხორციელების ეფექტური საშუალება

სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის

მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაციის

ავტორეფერატი

სამეცნიერო ხელმძღვანელი - **როინ მიგრიაული**

სამართლის დოქტორი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

თბილისი, 0141, საქართველო, 2024 წელი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: **როინ მიგრიაული,**

სამართლის დოქტორი, კავკასიის საერთაშორისო
უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ოფიციალური რეცენზენტები:

ნინო ხარიტონაშვილი - სამართლის დოქტორი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

გიორგი ჯუღელი - სამართლის დოქტორი, თავისუფალი უნივერსიტეტის პროფესორი

დისერტაციის დაცვა შედგება 2024 წლის 09 მარტს, 16:00 საათზე, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე.

მისამართი: საქართველო, 0141, თბილისი, ჩარგლის ქუჩა No73, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პირველი კორპუსი, 305-ე აუდიტორია.

დისერტაციის გაცნობა შესაძლებელია კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ბიბილიოთეკაში.

სადისერტაციო საბჭოს მდივანი: **ალექსანდრე გიორგიძე** სამართლის დოქტორი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

თემის აქტუალურობა და საკვლევი პრობლემის ჩამოყალიბება

„გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ 2007 წლის კანონმა მნიშვნელოვანი კვალი დატოვა როგორც საკანონმდებლო და პრაქტიკული განვითარების კუთხით, ისე სამეცნიერო თვალსაზრისით. ცოდნის გაღრმავებამ, ახალი საკანონმდებლო საჭიროებების წინაშე დაგვაყენა, რასაც შედეგად მოჰყვა პარლამენტის მიერ „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ კანონის მიღება. გარდა აღნიშნული შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელოვანი სიახლეებისა, რამაც განაპირობა კანონმდებლობის ცვლილება და არსებული მიმართულებით განვითარება, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ საქართველოს პარლამენტის მიერ 2014 წლის 26 ივნისს რატიფიცირებულია „ასოცირების შესახებ შეთანხმება“, რომელიც სხვა საკითხებთან ერთად, ევროკავშირის კანონმდებლობასთან ქართული სამართლის დაახლოებას გულისხმობს, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებასა და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის. ვალაუვალობის ახალი კანონის მიღების ვალდებულება ასოცირების შეთანხმებიდან უშუალოდ არ გამომდინარეობდა, მაგრამ დირექტივებთან წინააღმდეგობასაც არ იწვევდა. ეს შეიძლება მივიჩნიოთ ქვეყნის თავისუფალი ნების გამოვლინებად განვითარებისა და წარმატების სასიკეთოდ, რასაც ყოველწლიური დადებითი ასახვა აქვს ჩვენი ქვეყნის სასარგებლოდ. ამ ფაქტს, კანონის ძალაში შესვლიდან 2 წლის თავზე უკვე აფასებენ ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისთვის და ევროინტეგრაციისთვის წინ გადადგმული ნაბიჯად უკვე სხვადასხვა წრეებში.

ვალაუვალობის დარგის საყოველთაო მნიშნელობამ განაპირობა, სადოქტორო ნაშრომის თემად არჩეულიყო „რეაბილიტაციის რეჟიმი როგორც ვალაუვალობის წარმოების მონაწილეთა ინტერესების განხორციელების ეფექტური საშუალება“. გარდა ამისა, თემის აქტუალობა განაპირობა დარგში არსებულმა საკანონმდებლო სიახლემ და მისდამი დიდმა ინტერესმა, როგორც

სამართლის ასევე, ბიზნეს წრეებში. ხოლო, სამეცნიერო თვალსაზრისით, იმ ფაქტმა, რომ რეაბილიტაციის რეჟიმი აქამდე არ დამუშავებულა მეცნიერ-მკვლევარების მიერ, არ არსებობდა სამეცნიერო სტატიები და სხვა სახის წყაროები. შესაბამისად, სადოქტორო ნაშრომის აქტუალობა განპირობებული არის კანონის სიახლით, მისდამი დიდი ინტერესითა და საკვლევი რეჟიმის სათანადო შესწავლის მიზნით.

კვლევის მიზანი

სადისერტაციო თემად შერჩეული კვლევის ძირითად მიზანს წარმოადგენს რეაბილიტაციის რეჟიმის დეტალური შესწავლა სამართებრივ ჭრილში, როგორც მოვალის, ასევე კრედიტორის ინტერესების გათვალისწინებით.

კვლევის ამოცანები:

- რეაბილიტაციის არსი;
- რეაბილიტაციის მნიშვნელობა;
- რეაბილიტაციის პროცედურები;
- რამდენად უზრუნველყოფს კანონი რეაბილიტაციის ნორმების სამართლებრივი ჩარჩოს ჩამოყალიბებას;
- რამდენად პრაქტიკული იქნება კანონი არსებული პრობლემების გადასაჭრელად;
- უზრუნველყოფს თუ არა კანონი საერთაშორისო სტანდარტის დამკვიდრებას.

საკვლევი კითხვები:

- როგორ წესრიგდება რეაბილიტაცია და მასთან დაკავშრებული საკითხები საქართველოში, „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ კანონის მიხედვით?
- უზრუნველყოფილია თუ არა პროცესის მონაწილეთა ინტერესების თანაბარი დაცვა?
- დადებითად აისახება პროცესზე ის სიახლეები, რომლებსაც კანონი გვთავაზობს?
- არის თუ არა რეაბილიტაციის პროცედურები წინამორბედთან შედარებით გამარტივებული?

ლიტერატურის მიმოხილვა

დისერტაციაზე მუშაობის პროსესში შესწავლილ იქნა ასზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი და ოცდაათამდე სასამართლო გადაწყვეტილება, საიდანაც ნაშრომში განხილულია ცხრა გადაწყვეტილება. გამოყენებული ლიტერატურის სრული ჩამონათვალი წარმოდგენილია დისერტაციის ბიბლიოგრაფიის ნაწილში.

დისერტაციის ნორმატიულ ბაზას წარმოადგენს საქართველოს, გერმანიის, დიდი ბრიტანეთის, აშშ-სა და სხვა სახელმწიფოების ვალაუვალობის სამართლის კანონმდებლობა.

დისერტაციის ინფორმაციული კონტენტი მოიცავს სახელმძღვანელოებს, კომენტარებს, სამეცნიერო ჟურნალებს ვალაუვალობის სამართლის მიმართულებით, ლექსიკონს, ნორმატიულ აქტებს.

კვლევის პროცესში გამოყენებულია ქართულ და ინგლისურ ენებზე შესრულებული სამეცნიერო ნაშრომები.

- ვალაუვალობის სამართლის ისტორიას რომ გადავხედოთ, საქართველოში პირველი მონოგრაფია ამ მიმართულებით „შპს-ის გაკოტრების სამართლებრივი ასპექტები (შედარებითი ანალიზი ინზოლვენციის გერმანულ სამართალთან)“ შექმნილი არის სამართლის დოქტორის, როინ მიგრიაულის მიერ. 2004 წელს

ნაშრომი ფართო საზოგადოებისთვის გამოიცა. მონოგრაფია დეტალურად განიხილავს ისეთი კაპიტალური ტიპის საზოგადოების გაკოტრებას, როგორიცაა შპს. მიუხედავად მონოგრაფიის სათაურისა, მასში სხვადასხვა საკითხებიცაა განხილული. მაგ. სამეწარმეო სამართლებრივი საკითხები, რომლებსაც მჭიდრო კავშირი აქვთ ვალაუვალობის სამართლის განხილულ საკითხთან.

- დარგთან დაკავშირებით, 1997 წელს შექმნილი პირველი სახელმძღვანელოს, „შესავალი გაკოტრებისა და გადახდისუუნარობის სამართალში", ავტორია სამართლის დოქტორი, როინ მიგრიაული.[1] რომელიც მოგვიანებით მუშავდებოდა და გამოიცა 2016 წელს „ქართული კერძო სამართლის საკითხები, მეორე შევსებული გამოცემის"[2] სახელით და 2017 წელს „შესავალი გაკოტრებისა და გადახდუსუუნარობის სამართალში, მე-3 გადამუშავებული გამოცემის"[3] სახელით. სწორედ, მოცემული სახელმძღვანელოები წარმოადგენს დარგის შესწავლის ძირითად წყაროს, რომელიც არაერთხელაა გამოყენებული ნაშრომში.
- თემის შესწავლაში ძალიან დამეხმარა 2011 წელს, კვლავ, როინ მიგრიაულისა და გერმანელი მეცნიერის ჰაინრიხ შნიტგერის თანაავტორობით გამოცემული „გადახდისუუნარობის საქართველოს კანონი, დახასიათება და შედარება გაკოტრების საქართველოს კანონსა და საერთაშორისო სტანდარტებთან",[4] რომელიც დარგის მომწესრიგებელ, გადახდისუუნარობის 2007 წლის კანონის გააზრებაა.
- რაც შეეხება მოქმედი კანონის ნორმებზე შემუშავებულ სახელმძღვანელოს, 2021 წელს გამოიცა ავტორთა კოლექტივის: მესხიშვილი ქ. ბათლიძე გ. ამისულაშვილი ნ. ჯორბენაძე ს. მიერ - გადახდისუუნარობის საქმის წარმოების საფუძვლები

[1] მიგრიაული რ., (1997) შესავალი გაკოტრებისა და გადახდისუუნარობის სამართალში, პირველი გამოცემა. თბილისი.
[2] მიგრიაული რ., (2016) ქართული კერძო სამართლის საკითხები, მეორე შევსებული გამოცემა, თბილისი.
[3] მიგრიაული რ., (2017)შესავალი გაკოტრებისა და გადახდუსუუნარობის სამართალში. მე-3 გადამუშავებული გამოცემა. გამომცემლობა: იურისტების სამყარო, თბილისი.
[4] მიგრიაული რ., შნიტგერი ჰ., (2011) გადახდისუუნარობის საქართველოს კანონი, დახასიათება და შედარება გაკოტრების საქართველოს კანონსა და საერთაშორისო სტანდარტებთან, გამომცემლოვა: სიესტა, თბილისი.

„რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“[5] საქართველოს კანონის მიხედვით, რომელიც მნიშვნელოვნად გვეხმარება ახალი კანონის საფუძვლიანად შესწავლაში და გააზრებაში, არა მხოლოდ, რეაბილიტაციის რეჟიმის, არამედ, სხვა ინსტიტუციების.

- დიდი ბრიტანეთის სამართლებრივი ანალიზისთვის, რომელიც დისერტაციაში არაერთგზისაა მოხმობილი ქართულ კანონმდებლობასთან შედარებისთვის, მნიშვნელოვანი იყო ავტორების, Shalchi A-ს[6], Conway L-ის,[7] Dr. Detlef Hass Christine Borries-სა და Dr. Martin Strauch Hogan Lovells-ის[8] ნაშრომები, როგორც დირექტორის, ასევე, მორატორიუმის ინსტიტუტის გააზრებაში.
- დისერტაციას საინტერესოს ხდის მოსამართლეთა უფლებამოსილებების განხილვისას ისეთი საერთაშორისო ნორმატიული აქტები, რეკომენდაციები და დასკვნები, როგორებიცაა ევროპული ქარტია მოსამართლეთა სტატუსის შესახებ, სამოსამართლო ქცევის ბანგალორის პრინციპები, მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია[9], ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს დასკვნა[10].

კვლევის მეთოდი

თემის სპეციფიკის გათვალისწინებით, ნაშრომი შესრულებულია კვლევის ისეთი მეთოდების საფუძველზე, როგორებიცაა:

- მონაცემთა ანალიზი;

---

[5] მესხიშვილი ქ., ბათლიძე გ., ამისულაშვილი ნ., ჯორბენაძე ს., (2021) გადახდისუუნარობის საქმის წარმოების საფუძვლები „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, © GIZ. თბილისი.

[6] Ali Shalchi, (2022) Directors' responsibilities during insolvency. House of Commons Library.

[7] Lorraine Conway. Commons Library analysis of the Corporate Insolvency and Governance Bill [HC2019-21]. House of Commons Library.

[8] 80. Dr. Detlef Hass Christine Borries Dr. Martin Strauch Hogan Lovells, TREATMENT OF SECURED CLAIMS IN INSOLVENCY AND PRE-INSOLVENCY PROCEEDINGS II, International Association of Restructuring, Insolvency & Bankruptcy Professionals, London, 2020;

[9] მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია #R (94) 12, წევრი სახელმწიფოებისათვის მოსამართლეთა დამოუკიდებლობის, ეფექტურობისა და როლის შესახებ განმარტებითი ბარათი, კომენტარი 27.

[10] ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს (CCJE) დასკვნა#1.(2001) ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის საყურადღებოდ სასამართლო კორპუსის დამოუკიდებლობისა და მოსამართლეთა უფლებამოსილების შეწყვეტის დაუშვებლობის სტანდარტის შესახებ.

- თვისობრივი კვლევის მეთოდი;
- შედარებითი კვლევის მეთოდი;
- აღწერილობითი კვლევის მეთოდი;
- ისტორიული მეთოდი.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე და თეორიულ-პრაქტიკული მნიშვნელობა

მიუხედავად იმისა, რომ რეაბილიტაციის რეჟიმი ჩვენს საკანონმდებლო სივრცეში 2001 წლიდან არსებობს, მასზე სათანადო ყურადღება არ მახვილდებოდა როგორც სამეცნიერო, ისე პრაქტიკული კუთხით. შესაბამისად, სამეცნიერო სიახლე იმაში გამოიხატება, რომ ქართულ სამეცნიერო სივრცეში პირველად ჩემს მიერ შეიქმნა მონოგრაფიული ნაშრომი რეაბილიტაციის რეჟიმთან დაკავშირებით. სწორედ ამიტომ, შევისწავლე ქართული და სხვადასხვა ქვეყნის რეაბილიტაციის რეჟიმთან დაკავშირებული საკითხები და შედარებით-სამართლებრივი ანალიზის საფუძველზე, შემოთავაზებულია შესაბამისი მნიშვნელოვანი დასკვნები, რაც ადრე არავის უცდია.

აღსანიშნავია, რომ დისერტაციის პრაქტიკულ ღირებულებას წარმოადგენს შემდგომი კვლევებისას მისი ფაქტობრივ მასალად გამოყენების შესაძლებლობა. ნაშრომი საინტერესოა, როგორც დარგის მკვლევრებისთვის, ასევე პრაქტიკოსი იურისტებისა და სტუდენტებისთვის. კვლევის დასკვნების, შედეგებისა და მასალების გამოყენება შესაძლებელი იქნება ნაშრომში განხილული საკითხით დაინტერესებული იუსტიციის სამინისტროსთვის - რომელიც, „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ კანონის“ ინიციატორია; ასევე, იუსტიციის უმაღლესი საბჭოსთვის, რომელიც სასამართლო სისტემის მაკოორდინირებელ, ხარისხიანი და ეფექტური მართლმსაჯულების ხელშეწყობისათვის შექმნილ დამოუკიდებელ ორგანოს წარმოადგენს, რომლის საქმიანობასაც განეკუთვნება მოსამართლეობის მსურველთათვის საკვალიფიკაციო გამოცდებისა და კონკურსების ორგანიზება და ჩატარება,

პირველი და სააპელაციო ინსტანციების მოსამართლეთა დანიშვნა, გათავისუფლება და სხვ.

ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა

ნაშრომის სტრუქტურა შედგება შესავალის, ხუთი თავის, ოცდაექვსი ქვეთავის, დასკვნისა და გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალისგან, რომლებიც ერთიანდება 160 გვერდში.

ნაშრომის ძირითადი შინაარსი

თავი I - რეაბილიტაციის ისტორიული მიმოხილვა, ცნება, მნიშვნელობა და მიზნები

ნაშრომის პირველი თავი შედგება სამი თავისაგან. კერძოდ, მასში განვიხილავ - რეაბილიტაციის ისტორიულ მიმოხილვას, ცნებას, მნიშვნელობასა და მიზნებს. შესაბამისად, მასში შესწავლილი და გაანალიზებულია რეაბილიტაციის რეჟიმის დამკვიდრება ქართულ ვალაუვალობის სამართალში. ვალაუვალობის ქართულ სამართალს საფუძველი ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის 1-ლ ნახევარში ჩაეყარა, როდესაც იგი საბჭოთა სამართლის სივრცეში განვითარდა როგორც სამოქალაქო საპროცესო სამართლის ერთ-ერთი ინსტიტუტი. თუმცა, საბჭოთა რეჟიმის რეპრესიები აღნიშნულ სამართალსაც შეეხო და იგი, როგორც ბურჟუაზიული სამართალი, მთლიანად მოიკვეთა სამოქალაქო პროცესებიდან.

თანამედროვე ქართული ვალაუვალობის სამართლის დარგის განვითარება „საბჭოთა კავშირის“ დაშლიდან იწყება, რომელსაც შედეგად მოჰყვა დამოუკიდებელი ქართული კანონმდებლობის შექმნა. დარგის განვითარებისკენ გადადგმული პირველი ნაბიჯი იყო 1992 წლის 8 სექტემბერს „საწარმოთა გაკოტრების შესახებ“ დეკრეტის მიღება. თუმცა, მას პრაქტიკაში არსებობის შესაძლებლობა არ ჰქონია.

მოგვიანებით, საქართველოს პარლამენტმა მიიღო ისეთი მნიშვნელოვანი კანონი 1996 წლის 25 ივნისს, როგორიც იყო „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონი, რომელსაც ევროპული სამართლებრივი აზრის განვითარების შედეგი ეწოდა. კანონის მიღებას წინ უძღოდა ბრემენის უნივერსიტეტთან ქართველი მეცნიერების მჭიდრო ურთიერთობა და თანამშრომლობა. ისინი 1992 წლიდან მონაწილეობდნენ საქართველოსა და გერმანიის სახელმწიფოებს შორის არსებულ პროექტში, რომლის მიზანი საქართველოში კერძო სამართლის რეფორმის განხორციელება იყო. მოცემული პროექტის ფარგლებში შემუშავდა „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“

კანონი გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოების ხელშეწყობითა და გერმანელი ექსპერტების მონაწილეობით. ხოლო, უშუალოდ კანონპროექტი მოამზადა მაქს-პლანკის მეცნიერმა - იურგენ თიმემ. დეკრეტის მსგავსად, მასზე მუშაობისასაც გამოიკვეთა პრობლემები. კერძოდ, კანონპროექტის გერმანულიდან ქართულად გადათარგმნისა და ინსტიტუტის შინაარსობრივი გაგების, თუმცა ამან კანონის არსებობასა და განვითარებას ხელი ვერ შეუშალა.

რეაბილიტაციის რეჟიმის ისტორია, კანონისგან განსხვავებით, გვიან, ექვს წლიანი სხვაობით დაიწყო. იმ მიზეზით, რომ „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“ 1996 წლის კანონის პირველ რედაქციაში რეაბილიტაცია არ იყო გათვალისწინებული და იგი მისი წინამორბედის, „სანაციის“ სახელით იყო ცნობილი, რომელიც ეკონომიკური საფრთხის ქვეშ მყოფი მოვალის პრობლემების გადაწყვეტის საუკეთესო საშუალებად მიიჩნეოდა მისი ეკონომიკური გაჯანსაღებისთვის.

პირველ თავში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ტერმინ ვალაუვალობის განხილვას. ნაშრომში გამოყენებულია ტერმინი ვალაუვალობა, როგორც დარგის ასევე, კანონის სახელწოდებად. შესაბამისად, მიჩნეულია, რომ მნიშვნელოვანია მასზე სათანადო განმარტება გაკეთდეს. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ამაზე საუბარი გადახდისუუნარობის 2007 წლის კანონის მიღებიდან დაიწყო, იმ მიზეზით, რომ იურიდიული ტექნიკით, მართებულადაა მიჩნეული კანონს ზოგადი სახელი გააჩნდეს და არა კონკრეტული.

ნაშრომში ხსენებულ კანონთა სახელწოდებებიდან როგორც ვხედავთ, მათში გამოყენებულია ისეთი ტერმინები, როგორებიცაა: გაკოტრება და გადახდისუუნარობა.

როგორც ვიცით, გაკოტრება - მოვალის უკიდურესი ფინანსური მდგომარეობაა, რომლის ლოგიკური გაგრძელება მისი არსებობის დასრულებაა, როგორც ეკონომიკურად, ასევე, სამართლებრივად. რადგანაც მოვალეს კრედიტორთა წინაშე ვალის გადახდის უნარი არ გააჩნია და შემოსავალი, თუკი მას ასეთი აქვს გადახდისუნარიანად ვერ აქცევს. გარდა ამისა, მეცნიერული მსჯელობა უკვე არსებობს, რომ გაკოტრების ხსენება ზოგად ტერმინად არ

შეიძლება, რადგანაც გაკოტრება ერთ-ერთი წარმოებაა, რომელსაც მოვალის ქონების ლიკვიდაციისაკენ მივყავართ.

ტერმინი გადახდისუუნარობა კანონის თანახმად, ვალაუვალობის წარმოების ერთ-ერთი საფუძველია, რომლის არსებობისთვისაც აუცილებელია ვალდებულება, მისი შესრულების ვადის დადგომა და ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა. მაშინ, როდესაც კანონი იცნობს ვალაუვალობის მეორე საფუძველს, მოსალოდნელ გადახდისუუნარობას - რომელიც შეფასებითი კატეგორიისაა, ითვალისწინებს ორ რეჟიმს გაკოტრებასა და რეაბილიტაციას, აქვს ახალი ინსტიტუტი რეგულირებული შეთანხმების სახით, მართებულად ვერ იქნება მიჩნეული დარგის სახელწოდებად წარმოების საფუძვლისა და რომელიმე რეჟიმის გამოყენება. თუნდაც იმ მიზეზით, რომ მსგავსი სახელდებები წინ წევს მხოლოდ ერთ საფუძველს და რეჟიმს, როგორც ეს მოხდა გადახდისუუნარობისა და გაკოტრების შემთხვევაში 2007 წლის კანონით.

რაც შეეხება, ვალაუვალობას, იგი ჩვენთვის ცნობილია 1996 წლის გაკოტრების შესახებ კანონიდან, რომელიც მოვალეს არა კერძო სამართლებრივი, არამედ, დარგისთვის დამახასიათებელი ტერმინით ვალაუვალი მოვალის სახელით გვთავაზობს. გარდა ამისა, ვალაუვალობა წმინდა ქართულ ტერმინად მიიჩნევა, რომელიც უფრო თანამედროვეა. დარგი რომ ვალაუვალობის სამართლის სახელით იყოს ცნობილი, იმ მეზეზსაც ასახელებენ ლიტერატურაში, რომ გაკოტრების უარყოფითი ასოციაციების თავიდან აცილება მოხდეს.

დარგის მომწესრიგებელი პირველი კანონიდან მოყოლებული ვალაუვალობის სამართლის სახელწოდება უარყოფითი აზრისა და ასოციაციის მატარებელია. კანონები წინა პლანზე წევდა ისეთ რეჟიმს, როგორიც გაკოტრებაა და საფუძველს, რომელიც გაკოტრების რეჟიმზეა ორიენტირებული. შესაბამისად, ცნობადობასა და მნიშვნელობას მოკლებული რჩებოდა რეაბილიტაციის რეჟიმი და ვალაუვალობის საფუძველი - მოსალოდნელი გადახდისუუნარობა. სწორედ, ამ მიზეზთა და იურიდულად ტექნიკური გამართულობისათვის მართებული იქნება, თუ მოვიხსენიებთ და დავამკვიდრებთ ტერმინ ვალაუვალობას.

რეაბილიტაცია ამა თუ იმ დარგში სხვადასხვა მნიშვნელობით გამოიყენება. ვალაუვალობის სამართალში რეაბილიტაციის მსგავსი განმარტებები რომ არაფრის მომცემია და მისი გამოყენების ჩვეულებას სრულიად არ შეესატყვისება, მითითებულია კანონის განმარტებით ბარათში. „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ კანონში კანონმდებელმა ის ვალაუვალობის სამართლისათვის დამახასიათებელი მნიშვნელობით გამოიყენა, და არა იმ გაგებით, რასაც ჩვეულებრივი ან/და სამედიცინო მნიშვნელობა გულისხმობს. კერძოდ, რეაბილიტაცია შეეხება როგორც მოვალეს, ასევე მის ბიზნესს, იმ პირობით, რომ ყოველივე მიმართული იქნება კრედიტორთა დაკმაყოფილების ან მათი ინტერესების პრიორიტეტული დაცვისკენ.

ყოველივეს გათვალისწინებით, მიჩნეულია, რომ მოხდეს საკითხის დოგმატიზაცია. მიუხედავად იმისა, რომ კანონები ცვალებადია და სამართლის დოგმატიკაც კანონმდებლობაზეა დამოკიდებული, მსგავსი საკითხები კანონით უნდა იყოს მოწესრიგებული.

ახალი კანონი წინამორბედებისგან განსხვავებით განმარტებას არ აკეთებს. ნაშრომში მართებულადაა მიჩნეული რეაბილიტაციის განმარტებისთვის კანონში სათანადო ადგილის მოძებნა და დამკვიდრდება. მანამდე კი აუცილებელია მისი შემუშავება და ზუსტად განსაზღვრა კანონის მიზნებისა და მხარეთა ინტერესების დაცვის გათვალისწინებით. გამომდინარე აქედან, საჭიროა ნორმათშემოქმედებითი საქმიანობის განხორციელება საკანონმდებლო რეგულაციის კუთხით, ვინაიდან ადგილი არ ჰქონდეს არაერთგვაროვან მიდგომასა და ბუნდოვანებას ნორმის ინტერპრეტაციის კუთხით. რაც ცხადჰყოფს ტერმინთა განმარტებით ნაწილში რეაბილიტაციის რეჟიმის განსაზღვრის საჭიროებას.

პირველი თავის მესამე ნაწილი დათმობილია ისეთ მნიშვნელოვან საკითხზე, როგორიცაა **რეაბილიტაციის მნიშვნელობა.** რეაბილიტაცია სხვადასხვა დარგსა და ინტერესებზე გადის, მაშინ როდესაც რეაბილიტაციის რეჟიმი უფრო ვიწროდ, რეჟიმით შემოიფარგლება. მაგალითად, რეაბილიტაციას

სამართლებრივი მნიშვნელობის, როგორც მეწარმე სუბიექტის არსებობის შენარჩუნების და მატერიალურად, - როგორც საწარმოს ფაქტობრივი საქმიანობის გაგრძელების გარდა, უდიდესი მნიშვნელობა აქვს შრომითსამართლებრივი და შრომის ბაზრის შენარჩუნებისა და განვითარების, სახელმწიფო ბიუჯეტის შევსების, ადგილობრივი ბაზრის განვითარებისა და კონკურენციის გაზრდის, ხარისხის გაუმჯობესებისა და ინვესტიციების მოზიდვის კუთხით. ყოველივე ზემოთ აღნიშნული ერთიან ჯაჭვს ქმნის, რომლის საფუძველზეც ვიღებთ ძლიერ სახელმწიფოს.

თავი I I - რეაბილიტაციის რეჟიმის დაწყების წინაპირობა და განცხადება

დისერტაციის მეორე თავი შედგება სამი თავისაგან. სადაც განვიხილავ - რეაბილიტაციის რეჟიმის დაწყების წინაპირობებს, რეაბილიტაციის რეჟიმის განცხადებას და მისი წარდგენის წესს მოვალის, კრედიტორის, გაკოტრების მმართველისა და რეგულირებული შეთანხმების ზედამხედველის მიერ.

მეორე თავში საუბარია რეაბილიტაციის რეჟიმიის დაწყების საფუძვლებზე, რომლებიც ჩვენს ქვეყანაში, ვალაუვალობის პირველი გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ 1996 წლის კანონიდან მოყოლებული, არ შეცვლილა და ეს საფუძვლები მოვალის გადახდისუუნარობა/მოსალოდნელი გადახდისუუნარობაა.

მოქმედი კანონის თანახმად, მოვალე გადახდისუუნაროდ მიიჩნევა, თუ იგი ვერ ფარავს ვადამოსულ ვალდებულებებს.

რაც შეეხება მოსალოდნელ გადახდისუუნარობას, მასში არ იგულისხმება კონკრეტული შემთხვევა ვალდებულების შეუსრულებლობისა. აქ ივარაუდება მომავალში მოსალოდნელი ფაქტი, რომელიც შესაძლოა იქცეს რეალობად, ან არა. გადახდისუუნარობის პროგნოზი არ ეხება დროის რომელიმე მყარად განსაზღვრულ მონაკვეთს, არამედ „უახლოეს მომავალს“, რა დროშიც დირექტორს შეუძლია, მომავალი განვითარების განჭვრეტა. განჭვრეტისათვის, აუცილებელია სათანადო, გონივრული გადაწყვეტილების მიღება.

„მოსალოდნელი გადახდისუუნარობა, ერთგვაროვანი განმარტების არარსებობის პირობებში, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შესაფასებელი კატეგორიაა და მისაღებია გადაწყვეტილება, რა ეტაპიდან არის შესაძლებელი საწარმოს მიჩნევა „მოსალოდნელ გადახდისუუნარობაში“ მყოფ სუბიექტად“. საწარმოს მოსალოდნელი გადახდისუუნარობის წინაშე ყოფნა, უპირველეს ყოვლისა, შემჩნეული უნდა იქნას დირექტორის მიერ, რომელსაც მეწარმეთა შესახებ კანონით იმპერატიული ვალდებულება გააჩნია, განაცხადოს სამეწარმეო საზოგადოების გადახდისუუნარობის საშიშროების წინაშე ყოფნაზე.

ნაშრომში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს **განცხადების წარდგენას,** რომელიც პირველი ქმედითი ნაბიჯია, რომელსაც განმცხადებელი დგამს. განცხადების სათანადოდ წარდგენას რეაბილიტაციის რეჟიმის დაწყებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს. მიიჩნევა, რომ გადახდისუუნარობის შესახებ განცხადება არის მოვალის მიმართ პროცესის სასამართლოს ზედამხედველობის მეშვეობით და კანონით მკაცრად გაწერილი პროცედურების გავლით წარმართვის გზა. შესაბამისად, მას შემდეგ, რაც დადგინდება, რომ მოვალე იმყოფება გადახდისუუნარობის/მოსალოდნელი გადახდისუუნარობის წინაშე, აუცილებელია იმ სათანადო საპროცესო მოქმედებების განხორციელება, რომელსაც ვალაუვალობის მომწესრიგებელი კანონი ადგენს. უპირველეს ყოვლისა, განსახორციელებელ საკითხთა რიგს განეკუთვნება სასამართლოში განცხადების შეტანა.

ვალაუვალობის დარგის მომწესრიგებელმა ახალმა, რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ კანონმა, უამრავ სიახლესთან ერთად, საკითხთა გაფართოვება და 2007 წლის კანონით შექმნილი პრაქტიკის იმპერატიული დადგენა შემოგვთავაზა. განსაკუთრებით არსანიშნავია, რომ კანონით დიფერენცირებულია განცხადება რეჟიმის მიხედვით: გაკოტრება ან რეაბილიტაცია, და განცხადების შედგენის ზოგად სავალდებულო ინფორმაციის გარდა, კონკრეტული მოთხოვნები შემტანი პირის კრედიტორის/მოვალის მიხედვით. მოცემული ძირითადი აქტორების გარდა, კანონი ითვალისწინებს, რეგულირებული შეთანხმების ზედამხედველის და

გაკოტრების მმართველის მიერ გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების სასამართლოში შეტანას, ეს უკანასკნელი კონვერსიის შედეგად ხდება.

საქართველოში დღეს მოქმედი კანონი ადგენს ისეთ საერთო მოთხოვნებს, ყველა განმცხადებლისთვის, განცხადების წარდგენისას, როგორებიცაა სასამართლოს დასახელება, ინფორმაციას და სტატუსს განმცხადებლის შესახებ, მოვალის შესახებ მონაცემებსა და მისი საქმიანობის აღწერას, არგუმენტებს, რომელზე დაყრდნობითაც დგინდება მოვალის გადახდისუუნარობა ან მოსალოდნელი გადახდისუუნარობა, დასაბუთება - რეაბილიტაციის მიზნის მიღწევის შესაძლებლობაზე, მოთხოვნა მოვალის მართვაში დატოვების ან რეაბილიტაციის მმართველის დანიშვნის შესახებ და მორატორიუმის გამოყენების შესახებ. საერთო მოთხოვნების არსებობა მნიშვნელოვანია, რათა განცხადებას შესაბამისი სახე მიეცეს. რადგანაც ვალაუვალობის დარგში არ გამოიყენება ისეთი ფორმა, როგორიც დადგენილია სარჩელის წარდგენისათვის, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ.

აღნიშნული სავალდებულო მითითებების გარდა, კანონი ითვალისწინებს განცხადებაზე დამატებითი დოკუმენტების დართვას, თუკი განმცხადებლისათვის ცნობილია. მაგალითად, ასეთი შეიძლება იყოს მოვალის ფინანსური მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია; ინფორმაცია მოვალის ქონებაზე, რომელიც დატვირთულია უზრუნველყოფის ღონისძიებით, შესაბამისად, უზრუნველყოფილი კრედიტორის ვინაობა; მოვალის მიმართ სხვა გადახდისუუნარობის საქმის წარმოების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაცია; მოვალის შესახებ ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან; ასევე, ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც, განმცხადებლის აზრით, მნიშვნელოვანია რეაბილიტაციის რეჟიმის გახსნის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად. განცხადებაზე დამატებითი დოკუმენტების დართვა, რა თქმა უნდა, დადებითად შეიძლება შეფასდეს მხოლოდ. მისი წარდგენა დამატებით გარჯასა და დროს მოითხოვს, რასაც არ დაიზარებს განმცხადებელი, რომელსაც საფუძვლიანი მიზეზი აქვს განცხადების წარდგენისათვის.

მოცემულ თავში ასევე ყურადღება ეთმობა IAIR-ს. იგი გადახდისუუნარობის მარეგულირებელი საერთაშორისო ასოციაციაა, რომელიც აერთიანებს სახელმწიფოთა გამოცდილებას მთელი მსოფლიოს იურისდიქციებიდან. IAIR-ის წევრები ისეთი ქვეყნები არიან, როგორებიცაა: ამერიკა, დიდი ბრიტანეთი, კანადა, ფინეთი და სხვა. სამწუხაროდ, საქართველო არ არის მისი წევრი სახელმწიფო. ვფიქრობ, გადახდისუუნარობის პრაქტიკოსის პროფესიის პოპულარიზაციისა და განვითარებისთვის ჩვენი ქვეყნისათვის მსგავსი სახელმწიფოების გვერდით ყოფნა საუკეთესო საშუალება იქნებოდა პროფესიის განვითარების, პუპულარიზაციის, საერთაშორისო პრაქტიკისა და ცოდნის გაზიარებისთვის.

ნაშრომში განხილულია ევროკავშირის პრაქტიკა გადახდისუუნარობის პრაქტიკოსთან დაკავშირებით.

ევროკავშირში მიიჩნევა, რომ გადახდისუუნარობის პრაქტიკოსები გადახდისუუნარობის ნებისმიერ პროცესში მნიშვნელოვანი აქტორები არიან. შესაბამისად, იქმნება ეროვნული სპეციფიკური უფლებამოსილების კრიტერიუმები, როგორიცაა ასაკი, ცოდნის დონე, რეპუტაცია, გარკვეულ წლიანი გამოცდილება, დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა, სავალდებულო სწავლება, ე.წ. „სუფთა ფურცელი“ (არ არის ნასამართლევი, არ არის გაკოტრებული, დავალიანების გარეშე არის და ა.შ.). ევროკავშირში ასევე მიაჩნიათ, რომ პრაქტიკოსად შეიძლება დაინიშნოს ფიზიკური პირები (მაგ., გერმანია, ინგლისი და უელსი, შვედეთი) და კომპანიები (მაგ., უნგრეთში). ესპანეთში კომპანია შეიძლება დაინიშნოს, როდესაც მისი ერთ-ერთი წევრი მაინც არის რეგისტრირებული ადვოკატი, ხოლო მეორე წევრი არის ეკონომისტი ან აუდიტორი. ყოველივე ევროკავშირის კანონმდებლობით აღნიშნული, დადგენილია ქართულ საკანონმდებლო სივრცეში, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს კანონის საერთაშორისო დონის სტანდარტზე. ფიზიკურ და იურიდიულ პირთა პროცესებში ჩართვაზე ვალაუვალობის დარგის მკვლევრები პრაქტიკაზე დაყრდნობით, ჯერ კიდევ 2007 წლის კანონის მოქმედების

ფარგლებში მიუთითებდნენ, როდესაც მეურვეობასა და მმართველობას სსიპ აღსრულების ეროვნული ბიურო აწარმოებდა.

თავი I I I - რეაბილიტაციის რეჟიმის მოთხოვნით გადახდისუუნარობის განცხადების დასაშვებობა და სასამართლოს როლი ვალაუვალობის საქმის წარმოებაში

დისერტაციის მესამე თავი შედგება ორი თავისაგან. მასში განხილულია გადახდისუუნარობის განცხადების დასაშვებობის საკითხი, რომელზეც სასამართლო კანონით დადგენილი ვადების ფარგლებში მსჯელობს. ხოლო, ვადები განსხვავებულია განმცხადებლის სტატუსის მიხედვით. მესამე თავში, მეორე საკითხი რაზეც ვსაუბრობ, სასამართლოს როლია ვალაუვალობის საქმის წარმოებაში.

განცხადების დასაშვებობა საინტერესო და გამორჩეულია იმით, რომ **მოსამართლის პროცესში ჩართვა** ამ ეტაპიდან იწყება. შესაბამისად, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებსა და ფარგლებში, უფლებები და მოვალეობები, რომლებიც მოსამართლეს აქვს მინიჭებული, იგი იწყებს პრაქტიკაში განხორციელებას.

მას შემდეგ, რაც განცხადება წარდგენილი იქნება კანონის შესაბამისად და სასამართლო მიიჩნევს, რომ იგი აკმაყოფილებს ფორმალურ მოთხოვნებს და მოვალე გადახდისუუნარო ან მოსალოდნელი გადახდისუუნარობის წინაშე მყოფი აღმოჩნდება, გამოიტანს განჩინებას განცხადების დასაშვებად ცნობისა და რეაბილიტაციის რეჟიმის გახსნის შესახებ.

ახალი კანონით აღნიშნულის შემოწმებისათვის, სასამართლოს მოვალის მიერ შეტანილი განცხადებისას 7-დღიანი ვადა აქვს, ხოლო კრედიტორის მიერ წარდგენის შემთხვევაში 10 დღის ვადა, მას შემდეგ, რაც კრედიტორი წარმოადგენს მოვალისათვის სასამართლო გზავნილის ჩაბარების დამადასტურებელ დოკუმენტს.

კანონმდებლის მიერ განცხადების ვადების დიფერენცირება სუბიექტების

მიხედვით მნიშვნელოვან სიახლეს წარმოადგენს, რომელიც არ შეიძლება დადებითად არ შეფასდეს, იმ რისკებისა და პასუხისმგებლობის გათვალისწინებით, რაც განცხადების წარდგენას ახლავს თან. თუმცა, ნაშრომში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მოცემული ვადების შესაბამისობის განხილვას და მნიშვნელოვნადაა მიჩნეული მისი გაზრდა. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც წინა კანონი მხოლოდ 5 დღეს ითვალისწინებდა. მოსამართლისათვის 5-დღიანი ვადის დადგენას არაგონივრულს უწოდებდა პროფესორი როინ მიგრიაული, რომელიც თავის სტატიაში, აღნიშულ საკითხთან დაკავშრებით, ჯერ კიდევ 2013 წელს საუბრობდა. იგი მიიჩნევს, რომ მოცემული დრო საკმარისი არ არის გადაწყვეტილების მიღებისათვის.

ვფიქრობ, ვადებთან დაკავშირებით მსჯელობა მოქმედი კანონის ფარგლებშიც გაგრძელდება. შესაბამისად, ნაშრომში მართებულადაა მიჩნეული გაკოტრების 1996 წლის კანონის ვადის გათვალისწინება, რომლის მიხედვითაც, სასამართლო 45 დღის განმავლობაში ამოწმებდა განცხადებას.

თავი IV - რეაბილიტაციის გეგმის წარდგენა და მისი სამართლებრივი შედეგები

დისერტაციის მეოთხე თავი რვა თავისგან შედგება. მასში საფუძვლიანად შევისწავლი რეაბილიტაციის გეგმას, მის წარდგენას, მოწონებას, კენჭისყრასა და მის სამართლებრივ შედეგებს. რეაბილიტაციის რეჟიმში, რეაბილიტაციის გეგმა არის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი. მნიშვნელობას ხაზს უსვამს ის, რომ რეაბილიტაციის რეჟიმის მიზანს სწორედ, გეგმის დამტკიცება წარმოადგენს. რეაბილიტაციის გეგმა უნდა მოიცავდეს ყველა იმ საკითხს, რომელთა გადაჭრაც უზრუნველყოფს მოვალის ფინანსური პრობლემების აღმოფხვრას. საკითხები, რომლებიც დასმული იქნება რეაბილიტაციის გეგმით, უნდა აღმოფხვრიდნენ გადახდისუუნარობასა და მოსალოდნელ გადახდისუუნარობას.

„რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ კანონი ახალ რეგულაციებს გვთავაზობს კრედიტორთა მიერ რეაბილიტაციის გეგმის მოწონების სახით. ფაქტობრივად, შეიძლება ვთქვათ,

რომ წინამორბედი კანონისაგან რადიკალურად განსხვავებულს. „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ კანონისაგან განსხვავებით, „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ კანონი უზრუნველყოფილ კრედიტორებს უპირატეს მდგომარეობაში არ აყენებს. ის, რომ 2007 წლის კანონი უზრუნველყოფილი კრედიტორების ინტერესების მაქსიმალური დაკმაყოფილებისაკენ იყო მიმართული, რასაც უარყოფითი გავლენა ჰქონდა სამართლებრივი, სოციალური, ეკონომიკური და სხვ. მხრივ, ჩვენთვის სიახლეს არ უნდა წარმოადგენდეს. იმის გათვალისწინებით, რომ პრაქტიკოსები დიდი ხანია საუბრობენ ამის შესახებ.

სწორედ, ამ და სხვა პრობლემად ქცეულ საკითხთა აღმოფხვრას ემსახურებოდა კანონის მიხედვით ის, რომ ყველა კრედიტორი თავიანთი იმ მოთხოვნის ღირებულების პროპორციულად იღებენ რეაბილიტაციის გეგმის პროექტის მოწონებაში მონაწილეობას, რაც კრედიტორთა რეესტრში არის დაფიქსირებული.

მოცემულ თავში შევეცადე გამომეხატა პოზიცია კრედიტორთა მიერ ხმის მიცემაზე. კერძოდ, ქართული კანონით, იმისათვის, რომ კრედიტორთა გადაწყვეტილება უნარიანი იყოს, საჭიროა უბრალო უმრავლესობის თანხმობა, ე.ი 50+1. ხმის მიცემა ერთ-ერთი ძირითადი ელემენტია პროცესისა, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს მოვალის არსებულ და სამომავლო საქმიანობაზე და კრედიტორთა მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე. მოქმედი კანონი, ჩვეულებრივ, სხვა საკითხებთან მიმართებაში 75%-იან ზღვარს აწესებს. ნაშრომში კრედიტორთა უმრავლესობის ინტერესების დასაცავად 75%-იანი ბარიერის დადგენაა მიჩნეული უფრო ხელსაყრელად, ვიდრე უბრალო უმრავლესობით. აქვე განხილულია სხვადასხვა ქვეყნის პრაქტიკა. მაგალითად, გერმანიის კანონმდებლობა, რომელიც 75%-იან ბარიერს ადგენს თითოეული კლასის კრედიტორისთვის.

თავი V - ვალაუვალობის წარმოების მხარეები რეაბილიტაციის რეჟიმში

დისერტაციის მეხუთე თავი ორი თავისაგან შედგება და ეთმობა წარმოების მხარეებს, რომელთაც მოვალე და კრედიტორი წარმოადგენენ.

რეაბილიტაციის რეჟიმი, როგორც თანამედროვე ქართული ვალაუვალობის სამართლის ძირითადი ინსტიტუტი იმითაა გამორჩეული გაკოტრების რეჟიმისაგან, რომ ამ დროს ვალაუვალ მოვალეს აქვს შესაძლებლობა, დარჩეს წარმოების აქტიურ მონაწილედ. ვალაუვალი მოვალე, თავის მხრივ, ვალაუვალობის სამართლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მონაწილეა, რომელსაც უპირისპირდება წარმოების სხვა მონაწილეთა დიდი რაოდენობა, კრედიტორების სახით.

ვალაუვალ მოვალესთან დაკავშირებით, ხაზგასასმელია ის გარემოებაც, რომ იგი 2020 წლის ვალაუვალობის მესამე კანონის მიღებამდე განიხილებოდა, როგორც წარმოების პასიური მხარე, რის გამოც მისი აქტიური მონაწილეობა გამოირიცხებოდა არა მხოლოდ გაკოტრების წარმოებისას, არამედ რეაბილიტაციის დროსაც. ორივე წარმოება ისე მიმდინარეობდა, რომ ვალაუვალი მოვალე ზეგავლენას ვერ ახდენდა წარმოების ძირითადი აქტორების (გაკოტრებისა თუ რეაბილიტაციის მმართველების, კრედიტორთა კრებისა და სხვ.) მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე. „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ 2007 წლის კანონში განხორციელებული უმნიშვნელო რეფორმით იყო ვალაუვალი მოვალის გააქტიურების მცდელობა, როდესაც იგი რეაბილიტაციის წარმოების მიმდინარეობისას გარკვეული უფლებებით აღიჭურვა. მაგალითად, ვალაუვალ მოვალეს მიეცა უფლება, კრედიტორთა გადაწყვეტილებით მოემზადებინა რეაბილიტაციის გეგმა.

2020 წლის დღეს მოქმედი კანონი ვალაუვალი მოვალის „დაკნინებული“ სტატუსის ერთგვარი რეაბილიტაციაა, რაც სწორედ რომ რეაბილიტაციის რეჟიმის დროს ხორციელდება. რეაბილიტაციის რეჟიმში ვალაუვალი მოვალე ახალ, აქტიურ სტატუსს ირგებს. კანონი მისი მონაწილეობით მართვის სრულიად ახალ ფორმას გვთავაზობს - „მოვალე მართვაში“. მართვაში მოვალის დატოვების წინაპირობაა ვალაუვალობის წარმოებამდე საწარმოს კეთილსინდისიერად და პროფესიულად მართვა. გადახდისუუნარობის

უარყოფითი შედეგების დადგომა მისი ბრალით არ უნდა იყოს გამოწვეული. შესაბამისად, ადგილი არ უნდა ჰქონდეს ვალაუვალი მოვალის ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის მხრიდან ფიდუციური მოვალეობების დარღვევას. ვალაუვალობის სამართალთან დაკავშირებით არსებობს სხვადასხვა სისტემა, რომელთა მიხედვითაც ქვეყნების ვალაუვალობის სამართლის სისტემები იმის მიხედვით ფასდებიან, აკმაყოფილებენ თუ არა ისინი საერთაშორისო სტანდარტებს.

2020 წლის კანონი სწორედ საერთაშორისო სტანდარტებთან არის დაახლოებული, როდესაც მოვალის აქტიური სტატუსი შემოიღო და იგი გააქტიურა მართვაში შესაბამისი ჩაბმით. მსგავს მოწესრიგებას გვთავაზობს, ასევე, ევროდირექტივა. აღნიშნული ინსტიტუტი კი ქართული ვალაუვალობის სამართლის მნიშვნელოვანი სიახლეა. ვალაუვალობის სამართლის დარგის საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოებასა და 2007 წლის კანონის ცვლილებას არაერთი დიალოგი და ნაშრომი მიეძღვნა, რათა სამართლიანად დარეგულირებულიყო როგორც მოვალის გაკოტრების, ისე მისი საწარმოების გადარჩენის, ანუ რეაბილიტაციის საკითხები.

მოვალეს რეაბილიტაციის რეჟიმის განხორციელების გზით უჩნდება ისეთი **ინტერესები**, როგორებიცაა, მისი როგორც მეწარმე სუბიექტის იურიდიულად არსებობის გაგრძელება, - მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში, მისი საწარმოს შენარჩუნება, სადაც ახორციელებს სამეწარმეო საქმიანობას, რომელიც აღჭურვილია მთელი რიგი ორგანიზაციულ-სტრუქტურული ერთეულებით. მის ინტერესთა რიგს განეკუთვნება, მორატორიუმი, რომლიც მნიშვნელობაც საკმაოდ ვრცლად იქნა განხილული ნაშრომში და რომელიც მოვალეს სუნთვის საშუალებას აძლევს „ვალების დაპაუზებით“. მისი ინტერესის საგანს ასევე წარმოადგენს კრედიტორებთან არსებული ურთიერთობის შენარჩუნება და სამომავლოდ მისი გაგრძელება. რეაბილიტაციის რეჟიმი მნიშვნელოვანია იმ მხრივაც, რომ იგი მოვალეს შესაძლებლობას აძლევს მომავალზე იფიქროს. შევიდეს ახალ სამართლებრივ ურთიერთობებში, დადოს ახალი ხელშეკრულებები, შეიძინოს ახალი

პარტნიორები, აწარმოოს ახალი სავაჭრო ურთიერთობები, იფიქროს ფილიალის შექმნაზე და სხვ.

დისერტაციის მეხუთე თავის მეორე ნაწილი ეთმობა კრედიტორს. ვალაუვალობის სამართალში კრედიტორის უფლებამოსილება განსაზღვრული იყო ჯერ კიდევ გაკოტრების შესახებ 1996 წლის პირველი კანონით, რომლის თანახმად, კრედიტორად მიიჩნეოდა პირი, რომელსაც გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის მომენტისათვის მოვალის მიმართ ჰქონდა საფუძვლიანი ქონებრივი პრეტენზია.

გადახდისუუნარობის 2007 წლის კანონით, კრედიტორად მიიჩნეოდა პირი, რომელსაც გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების შეტანის მომენტისათვის მოვალის მიმართ ჰქონდა საფუძვლიანი ფინანსური მოთხოვნა. ორივე კანონი შინაარსობრივად ერთნაირად განმარტავდა, თუ ვინ იყო ვალაუვალობის წარმოებაში კრედიტორი. სამწუხაროდ, მოქმედი 2020 წლის კანონი არ აკეთებს განმარტებას, თუ ვინ არის კრედიტორი.

კრედიტორების, მათი როლისა და უფლებამოსილებების სწორად განსაზღვრა გადახდისუუნარობის საქმის წარმოების წარმატებულად დასრულებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობისაა. კრედიტორების უფლება-მოვალეობები განსხვავებულია და ამ განსხვავებებს განაპიროებებს მათი მოთხოვნის სამართლებრივი ბუნება, წარმოშობის დრო, აგრეთვე, საქმის წარმოების სპეციალური რეჟიმი, რომელშიც მოვალე იმყოფება და სხვა გარემოებები. წარმოებაში არის მისი მოთხოვნის იმაზე უკეთესად დაკმაყოფილება, ვიდრე ეს მოხდება გაკოტრების რეჟიმში. ე.წ გაკოტრების მინიმუმს, რომლის თანახმად, კრედიტორი მოვალის გაკოტრების რეჟიმის გახსნის შემთხვევაში მიიღებდა ფულს ან სხვა აქტივს. კონკრეტულ კრედიტორს ნაკლებად აინტერესებს მისი მოთხოვნა კოლექტიურად დაკმაყოფილდება თუ - არა. რეაბილიტაცია კრედიტორების კოლექტიური დაკმაყოფილების ან მათი ინტერესების პრიორიტეტული დაცვისკენ უნდა იყოს მიმართული.

დისერტაციაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს იმ გარემოებათა კვლევას,

რომელთა გამოც რეაბილიტაციის რეჟიმი, კრედიტორის ინტერესის განხორციელების ეფექტურ საშუალებად შეიძლება მიჩნეულ იქნას. ესენია:

- რეაბილიტაცია მიმართულია კრედიტორული მოთხოვნების მაქსიმალურად დაკმაყოფილებისკენ - ვინაიდან, საწარმოთა ეკონომიკური განვითარების თანამედროვე ტენდენციები სულ უფრო ამცირებს კომპანიების გაყიდვის გზით კრედიტორთა ეფექტიანი დაკმაყოფილების შესაძლებლობას, რადგან, როგორც წესი, კომპანიის ღირებულება ბევრად უფრო მეტია, ვიდრე მისი ქონებრივი აქტივის ღირებულება. სწორედ, ამიტომ რებილიტაციის მიზანი მოვალის რეაბილიტაციის გზით კრედიტორთა დაკმაყოფილებაა;
- რეაბილიტაციის გეგმით გაითვალისწინება იმაზე უკეთესი შედეგი, ვიდრე მოვალის გაკოტრებისას დადგებოდა - რეაბილიტაციის გეგმა ბიზნესგეგმის მსგავსი უნდა იყოს, რომელიც ნათელ და ცალსახა წარმოდგენას იძლევა საწარმოო პროცესების ეფეტიანი წარმართვის გზით კრედიტორთა დაკმაყოფილების შესაძლებლობებსა და გარანტიებზე;
- რეაბილიტაცია მოიცავს მოვალის ქონების მთლიან მასას - რეაბილიტაციის რეჟიმის მიმდინარეობისას უზრუნველყოფილ კრედიტორს შეუძლია სასამართლოს მიმართოს უზრუნველყოფის საგნად გამოყენებულ ქონებაზე მორატორიუმის გაუქმების შუამდგომლობით. სასამართლო დააკმაყოფილებს აღნიშნული შუამდგომლობას მხოლოდ მაშინ, თუ იგი დარწმუნდება, რომ ამით არ შეილახება კრედიტორთა კოლექტიური და თანაბარზომიერი დაკმაყოფილების პრინციპი და მოთხოვნილი ქონება აუცილებელი არაა რეაბილიტაციის მიზნებისათვის.
- საწარმოს ფუნქციონირების უწყვეტობა - რეაბილიტაციის რეჟიმის დროს შესაძლებელია ბიზნესის გადაცემა ახალი საწარმოსათვის და ამ ბიზნესის უწყვეტობის საჭიროებიდან გამომდინარე, თანმდევი პროცესია ქონების გადაცემა, რომელსაც ,,გადაყვებიან“ კრედიტორები, რაც კრედიტორთა ინტერესებზე სასარგებლოდ აისახება, ვინაიდან მათ ეძლევათ შესაძლებლობა მაქსიმალურად დაიკმაყოფილონ თავიათი მოთხოვნები.

დასკვნა

აღსანიშნავია, რომ ნაშრომზე მუშაობის პროცესში, გამოიკვეთა და წარმოჩნდა ქართული ვალაუვალობის სამართლში, რეაბილიტაციის რეჟიმთან დაკავშირებული პრაქტიკული პრობლემური საკითხები, რომელთა სიღრმისეული კვლევა და ანალიზი ძალზედ მნიშვნელოვანი იყო. რეაბილიტაციის რეჟიმი ქართულ ვალაუვალობის სამართალში 1996 წლის კანონის 2001 წლის რედაქციიდან იწყებს არსებობას, თუმცა სამართლებრივმა, სოციალურმა, პოლიტიკურმა თუ სხვა სახის საკითხებმა იგი ფარდის მიღმა დატოვა 2007 წლის გადახდისუუნარობის საქმის წარმოების კანონის ფარგლებშიც. საბედნიეროდ, ახალმა, 2021 წლის რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ კანონმა, ევროდირექტივების დახმარებითა და იუსტიციის სამინისტროს ძალისხმევით, ფარდა ახადა რეაბილიტაციის რეჟიმს და მისი პოპულარიზაცია კანონის სახელიდანვე დაიწყო.

ის, რომ რეაბილიტაციის რეჟიმი, გაკოტრების რეჟიმთან შედარებით ნაკლებ პოპულარობით სარგებლობდა ჩვენს ქვეყანაში არახალია. ამას მოწმობს მეცნიერთა მოსაზრებები, სხვადასხვა სახის ნაშრომები, წიგნები, სტატიები, პუბლიკაციები და სხვ.

სწორედ, ეს ყოველივე გახდა ნაშრომის თემის დამუშავების მოტივაცია. პირველ რიგში, ბიზნესისა და მასთან დაკავშირებულ პირთათვის რეაბილიტაციის რეჟიმის პოპულარიზაცია და არსებობის გაგრძელების აუცილებლობისა და შესაძლებლობის ჩვენება.

ბიზნესსაქმიანობა, თავისი არსით უდიდესი რისკების მატარებელია რომელთა წინასწარ განსჯა, განსაზღვრა, დათვლა და სხვ. ყოველთვის არ არის შესაძლებელი და ყოველდღიურობას თან სდევს. თუმცა, კრიზისი ბიზნესსუბიექტის მიერ არ უნდა იქნას გაგებული არსებობის დასრულებისკენ მიმავალ გზად. პირიქით, ყოველივე გამოწვევად უნდა იქნას მიღებული მის მიერ და პრობლემების გადაჭრის გზების ძიებასთან ერთად, უფრო მეტად უნდა

განვითარდეს და გაძლიერდეს მატერიალურად თუ არამატერიალურად.

მკითხველს ნაშრომის კითხვისას შეიძლება შეექმნას შთაბეჭდილება თითქოს იგი თეორიულ ანალიზს უფრო მეტად მოიცავს, ვიდრე პრაქტიკულს, თუმცა შეგახსენებთ, რომ საჭიროებისამებრ მოხმობილია პრაქტიკა და რეაბილიტაციის რეჟიმში მყოფი მოვალე სუბიექტები დაწვრილებითაა განხილული ნაშრომში, განსაკუთრებით, როდესაც საუბარია ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირზე, - დირექტორზე, მის უფლებებზე, მოვალეობებსა და პასუხისმგებლობაზე.

უნდა აღინიშნოს, რომ ნაშრომში წარმოდგენილი და იდენტიფიცირებულია ვალაუვალობის ქართულ სამართალში, რეაბილიტაციის რეჟიმთან დაკავშირებით არსებული პრობლემები. რომელთა დაკავშირებითაც ვიმედოვნებ, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო სათანადო რეაგირებას მოახდენს, რომელიც კანონის დახვეწასა და სრულყოფას შეუწყობს ხელს.

რაც უფრო სიღრმისეულად შევისწავლიდი საკვლევ თემას, მით უფრო მეტად ვრწმუნდებოდი, რომ დისერტაციის სათაურს „რეაბილიტაციის რეჟიმი როგორც ვალაუვალობის წარმოების მონაწილეთა ინტერესების განხორციელების ეფექტური საშუალება“-ს და მის შინაარსს მოქმედი კანონი რეალურად შეესაბამება, ასევე, - სადისერთაციო თემისთვის დასმულ ამოცანებს, კითხვებსა და ჰიპოთეზას. თავისუფლად შემიძლია ვთქვა, რომ ყოველივე ზემოთ აღწერილ საკითხს დადებითად გაეცა პასუხი.

თუმცა, ამ ყოველივეს მიუხედავად, ნაშრომზე მუშაობისას გამოიკვეთა მთელი რიგი საკითხები, რომელთა მოგვარება, ვფიქრობ, აუცილებელია, რათა ქართული ვალაუვალობის სამართალი, რეაბილიტაციის რეჟიმის სახით, უფრო დახვეწილი, მოქნილი და თანამედროვე იყოს.

თვალსაჩინოებისთვის, საჭიროდ მივიჩნიე გამოყოფილ იქნას საკვლევ საკითხთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი დასკვნები და რეკომენდაციები, რომლებსაც სამართალშემოქმედებითი და უტილიტარული საყოველთაო მნიშვნელობა გააჩნია.

ნაშრომზე მუშაობისას მკაფიოდ გამოიკვეთა ის ფაქტი, რომ რეაბილიტაციის რეჟიმის მნიშვნელობა ვალაუვალობის დარგს ფართოდ სცდება. რეაბილიტაციის რეჟიმის სიკეთეებით სარგებლობა მოვალის ინტერესების გარდა, სახელმწიფოებრივი მნიშვნელობისაა, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ. შესაბამისად, მოვალე, რომელიც ნამდვილად იმსახურებს არსებობის გაგრძელებას ყოველმხრივ უნდა ეწყობოდეს ხელი, რათა მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრიდან არ ამოიშალოს და მისი ქონება, რომელიც ვალაუვალობის მასის სახელითაა ჩვენთვის ცნობილი, სამოქალაქო ბრუნვის მიღმა არ დარჩეს.

- როგორც ვიცით, დარგის მომწესრიგებელი პირველი კანონიდან მოყოლებული ვალაუვალობის სამართლის სახელწოდება უარყოფითი აზრისა და ასოციაციის მატარებელია. კანონები წინა პლანზე წევდა ისეთ რეჟიმს, როგორიც გაკოტრებაა და საფუძველს, რომელიც გაკოტრების რეჟიმზეა ორიენტირებული. შესაბამისად, ცნობადობასა და მნიშვნელობას მოკლებული რჩებოდა რეაბილიტაციის რეჟიმი და ვალაუვალობის საფუძველი - მოსალოდნელი გადახდისუუნარობა. სწორედ, ამ მიზეზთა და იურიდულად ტექნიკური გამართულობისათვის მართებული იქნება, თუ მოვიხსენიებთ და დავამკვიდრებთ ტერმინ ვალაუვალობას.

- როგორც თემის განხილვისას აღინიშნა, ახალი კანონი რეაბილიტაციის ცნებას არ განმარტავს. ვფიქრობ, ახალი კანონის ფარგლებში რეაბილიტაცია უნდა განიმარტოს და სათანადოდ დამკვიდრდეს. დამკვიდრებამდე კი აუცილებელია იგი შემუშავდეს და ზუსტად განისაზღვროს კანონის მიზნებისა და მხარეთა ინტერესების დაცვის გათვალისწინებით. სამწუხაროდ, იგივე უნდა ითქვას კრედიტორისა და ვალაუვალი მოვალის განმარტებასთან დაკავშირებით. ამ მოცემულობით კი, შეიძლება ვთქვათ, რომ კანონის ხარვეზს წარმოადგენს პროცესისა და მის მონაწილე პირთა განმარტებების არარსებობა. ამასთან დაკავშირებით, მართებულად მიმაჩნია, კანონმდებელმა განმარტებების

რეესტრის გაკეთების ნაცვლად, კონკრეტული ინსტიტუტი ნორმაში განმარტოს, ისე როგორც ეს იყო 1996 წლის კანონით.

- როგორც ნაშრომში აღინიშნა, კანონში მოსალოდნელი გადახდისუუნარობის ერთგვაროვანი განმარტება არ არსებობს. მისი შეფასება ინდივიდუალურად უნდა მოხდეს, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში და სათანადოდ იქნას გადაწყვეტილება მიღებული. იმის გათვალისწინებით, რომ ინდივიდუალურ მიდგომას ეფუძნება საწარმოს მიჩნევა „მოსალოდნელ გადახდისუუნარობაში“ მყოფ სუბიექტად, უდიდესი რისკის მატარებელია იმ პირთა წრისათვის, რომელთაც მოვალის ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის პასუხისმგებლობა აკისრიათ. რისკებისა და პასუხიმგებლობის გათვალისწინებით, უპრიანი იქნება თუ ჩამოყალიბდება ერთგვარი სამოქმედო გეგმა, რომელიც ყოველივეს შეამცირებს და საკითხს აბსოლუტური რეგულირების მიღმა არ დატოვებს.

- როგორც ვიცით და ნაშრომშიც აღინიშნა, ვალაუვალობის დარგში არ გამოიყენება ისეთი ფორმა, როგორიც დადგენილია სარჩელის წარდგენისათვის, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ. ნაშრომში აღნიშნული რეკომენდაციისამებრ, მართებული იქნება ამ საკითხთან დაკავშირებით საქართველოში დაინერგოს აშშ-ში აპრობირებული პრაქტიკა. კერძოდ, აქ სასამართლოში განცხადების შეტანა შესაძლებელია შესაბამისი ფორმის მიხედვით, რომელიც ითვალისწინებს ნებისმიერ შემთხვევისას, ფიზიკური თუ იურიდიული პირის მიერ, გაკოტრების თუ რეაბილიტაციის რეჟიმის მოთხოვნისათვის. განცხადების წარდგენისათვის დადგენილი ფორმები შემუშავებულია კანონით გათვალისწინებული ყველა სიტუაციის მიხედვით და ინდივიდუალურად განმცხადებელი პირის ან პირების შესაბამისად. მოცემული საკითხის მოწესრიგება ჩვენს ქვეყანაში იუსტიციის უმაღლესის სააბჭოს პრეროგატივაა. შესაბამისად, მართებული იქნება თუ, იუსტიციის უმაღლესი სააბჭო ამ საკითხთან მიმართებაში საკუთარ

კომპეტენციას გამოიყენებს და ენერგიას არ დაზოგავს, ვალაუვალობის დარგის მეტად მოქნილობისთვის.

- მოქმედი კანონი ადგენს პასუხისმგებლობას ზიანის მიყენებისა და უსაფუძვლოდ წარდგენილი განცხადებისათვის, მაშინ როდესაც აღმოჩნდება რომ მოვალე თავიდანვე არ იყო გადახდისუუნარო ან მოსალოდნელი გადახდისუუნარობის წინაშე მყოფი. აღნიშნულის სანქციონირების უფლებამოსილებით კანონმდებელმა მოსამართლე აღჭურვა. სამწუხაროდ, კანონი არ განსაზღვრავს შეფასების კრიტერიუმებსა და სტანდარტს. მიყენებული ზიანის ოდენობა მოსამართლემ უნდა დაადგინოს, რაც მას ინდივიდუალურად მოქმედების საშუალებას აძლევს. ვფიქრობ, ეს აზრთა სხვადასხვაობას გამოიწვევს და საკითხი სადავო გახდება ყველა შემთხვევაში. შესაბამისად, მიმაჩნია, რომ კანონმა უნდა დაარეგულიროს აღნიშნული საკითხი, სახელმწიფო ბაჟის ან გადახდისუუნარობის პრაქტიკოსის ანაზღაურების წესისამებრ ან სხვა ალტერნატიული გზით.

- მოქმედი კანონი არ ითვალისწინებს სასამართლოს დახმარებას განმცხადებლისათვის მტკიცებულებების მოძიებაში, მაშინ როდესაც განმცხადებლის მიერ შეუძლებელია მტკიცებულებების მოძიება, რათა განცხადებას თან დაურთოს და წარადგინოს სასამართლოში. ეს საკითხი ყველა განმცხადებლის საერთო პრობლემას წარმოადგენს. სასამართლოს ჩართულობის არ არსებობა ორ ძირითად პრობლემას კვეთს. პირველი: განმცხადებელი მოკლებულია შესაძლებლობას, რათა საკუთარი პოზიცია დოკუმენტებით გაიმყაროს და დაარწმუნოს მოსამართლე რეაბილიტაციის რეჟიმის აუცილებლობაზე. ხოლო, მეორე პრობლემას წარმოადგენს: სასამართლოს როლის შემცირება და რეალური ფონის დანახვის შეუძლებლობა, როგორც მისი, ასევე პროცესის სხვა მხარეების მიერ. სწორედ ამიტომ, კანონში, უნდა არსებობდეს სათანადო ნორმა, რომელიც შესაძლებელს გახდის სასამართლოს ჩართულობასა და მისი საშუალებით მტკიცებულებების მოპოვებას. რათა

არასწორი წარმოდგენები და მოლოდინები თავიდანვე იქნას გაქარწყლებული და რეაბილიტაციის რეჟიმის მოთხოვნა რეალურ მტკიცებულებებსა და საფუძვლებს ეყრდნობოდეს. ხოლო, საერთაშორისოდ აღიარებული ფაქტი, რომ ვალაუვალობა სამართლის ის სფეროა, სადაც მონაცემების მოპოვება რთულია, შეიცვალოს.

- მსოფლიოში არსებობს IAIR-ი, რომელიც გადახდისუუნარობის მარეგულირებელი საერთაშორისო ასოციაციაა, იგი აერთიანებს სახელმწიფოთა გამოცდილებას მთელი მსოფლიოს იურისდიქციებიდან. სამწუხაროდ, საქართველო არ არის IAIR-ის წევრი. მაგრამ, სასიხარულოა, რომ ქართული კანონმდებლობა უზრუნველყოფს ვალაუვალობის დარგის თანამედროვეობის კვალდაკვალ სვლას. IAIR-ის წევრები ისეთი ქვეყნები არიან, როგორებიცაა: ამერიკა, დიდი ბრიტანეთი, კანადა, ფინეთი და სხვა. ვფიქრობ, გადახდისუუნარობის პრაქტიკოსის პროფესიის პოპულარიზაციისა და განვითარებისთვის ჩვენი ქვეყნისათვის, მსგავსი სახელმწიფოების გვერდით ყოფნა საუკეთესო საშუალება იქნებოდა პროფესიის განვითარებისათვის. შესაბამისად, ვალაუვალობის ქართული სამართლის პოპულარიზაციისა და გადახდისუუნარობის პრაქტიკოსთა განვითარებისათვის IAIR-ის წევრობა საუკეთესო საშალებაა.

- როგორც ვიცით, 2007 წლის კანონით სსიპ აღსრულების ეროვნული ბიურო იყო მეორვეობაზე, რეაბილიტაციისა და გაკოტრების რეჟიმების მართვაზე უფლებამოსილი ორგანო. ამასთან დაკავშრებით, ევროკავშირში მიაჩნიათ, რომ გადახდისუუნარობის პრაქტიკოსი შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური პირი, ასევე კომპანია. ევროკავშირის კანონმდებლობით აღნიშნული დანაწესი ქართულ საკანონმდებლო სივრცეში დაინერგა 2021 კანონით. ეს კი კიდევ ერთხელ მიუთითებს კანონის საერთაშორისო დონის სტანდარტზე. ფიზიკურ და იურიდიულ პირთა პროცესებში ჩართვაზე ვალაუვალობის დარგის მკვლევრები პრაქტიკაზე დაყრდნობით, ჯერ კიდევ 2007 წლის კანონის მოქმედების

ფარგლებში მიუთითებდნენ, როდესაც მეურვეობასა და მმართველობას სსიპ აღსრულების ეროვნული ბიურო აწარმოებდა. გარდა ამისა, არა ერთი სამეცნიერო სტატია იქნა მიძვნილი სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროზე, რომლის თანახმადაც -„არ არსებობს რაიმე წონადი არგუმენტი, რაც მეურვის ამ ფორმით არსებობას მცირედით მაინც გაამართლებდა“. აღნიშნული ცვლილება ცალსახად მიმსასალმებელია, იმის გათვალისწინებით, რომ დარგში შესვლა უფრო გამარტივდა და უფრო მაღალი სტანდარტი იქნა დადგენილი, ვიდრე სსიპ აღსრულების ეროვნული ბიურო ითვალისწინებდა საჯარო მოხელეთა აყვანისას, რომელთაც დარგთან არანაირი შემხებლობა არ გააჩნდათ.

- ჩვენი ქვეყნის საკანონმდებლო სივრცისთვის ახალი კანონის მიღებამდე უცნობი იყო რეგულირებული შეთანხმების ინსტიტუტი. შესაბამისად, რეგულირებული შეთანხმების ზედამხედველის პროფესიაც ახალია. ინსტიტუტის სიახლის გამო, თვითონ ისტიტუტი და მასთან დაკავშირებული საკითხები ჯერ კიდევ მეცნიერულად დასამუშავებელია. სამწუხაროდ, ჯერ არ არსებობს რეგულირებული შეთანხმების ინსტიტუტით სარგებლობის პრაქტიკა. საკითხის შესწავლისას გაჩნდა კითხვა: რამდენად არის რეგულირებული შეთანხმების ზედამხედველისათვის განცხადების უფლებამოსილების მინიჭება მართებული, იმის გათვალისწინებით, რომ რეგულირებული შეთანხმება რეჟიმი არაა და მას სხვა სტატუსი და სამართლებრივი მდგომარეობა გააჩნია?! რეგულირებული შეთანხმების სტატუსის გათვალისწინებით, ვფიქრობ, მისი ფარგლები რეგულირებულ შეთანხმებას არ უნდა გასცდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ზღვარი რეაბილიტაციის რეჟიმსა და რეგულირებულ შეთანხმებას შორის უფრო მკრთალი იქნება და სხვაობის დანახვა მათ შორის გაჭირდება. სწორედ ამიტომ, უპრიანი იქნება თუ კანონმდებელი უფრო ფართო არეალს შემოგვთავაზებს რეგულირებული შეთანხმების ადგილზე ვალაუვალობის ქართულ სამართალში და რეგულირებული შეთანხმების ზედამხედველის განმცხადებლად წარმოჩენას დაასაბუთებს.

- ვალაუვალობის მომწესრიგებელ კანონთა ქვაკუთხედადაა ქცეული ვადები. 2007 წლის კანონით, მოსამართლეს განცხადების განხილვისათვის 5 დღიანი ვადა ჰქონდა დადგენილი, რომელიც სათანადო გადაწყვეტილების მიღებისათვის საკმარისად არ მიიჩნეოდა. მოქმედი კანონის სიახლეს გვთავაზობს იმ მხრივ, რომ სასამართლოს განხილვისთვის მოვალის მიერ შეტანილი განცხადებისას 7-დღიანი ვადა აქვს, ხოლო კრედიტორის მიერ წარდგენისას 10 დღე. მიუხედავად ვადების ცვლილებისა, კვლავ ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ 7 და 10 დღე საკმარისი არაა განცხადებაში მოყვანილი ფაქტობრივი გარემოებების, განსაკუთრებით, განცხადებაში მოცემული გადახდისუუნარობის საფუძვლის შესწავლისა და სათანადო გადაწყვეტილების მიღებისათვის. ნაშრომში მოყვანილი არგუმენტისამებრ, მართებული იქნება თუ 1996 წლის კანონის პრაქტიკა დაინერგება და მოსამართლეს 45-დღიანი ვადა ექნება განცხადების განსახილველად.

- სიახლე არაა ის, რომ ქართული სასამართლო სისტემა გადატვირთულია და მოსამართლეთა ნაკლებობას განიცდის. ამას გონივრული ბმა აკავშირებს ვალაუვალობის დარგთანაც. ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს დარგის სპეციალიზაციის არქონა და ვალაუვალობის მოსამართლეთა არყოლა. სათანადო აპარატის არარსებობასთან ერთად, პრობლემას ხელს უწყობს მოსამართლეთა მიერ სათანადო გამოცდის ჩაბარების არარსებობა. ამ ყოველივეს მოწესრიგება მხოლოდ იუსტიციის უმაღლეს საბჭოს ხელეწიფება.

ნაშრომში საკითხის განხილვამ ცალსახად ცხადყო: 1. აუცილებელია ვალაუვალობის სპეციალიზაციის მქონე სასამართლო აპარატის შექმნა. რომელიც, უშუალოდ, ვალაუვალობის დარგის მცოდნე მოსამართლეებისაგან იქნება დაკომპლექტებული. 2. კითხვას, თუ როგორ უნდა მოხდეს ვალაუვალობის მოსამართლეთა შერჩევა, არჩევით თუ დანიშვნით, ვფიქრობ, გაზიარებულ უნდა იქნას სხვა ქვეყანათა პრაქტიკა და მხოლოდ გამოცდის ჩაბარება არ უნდა იყოს მოსამართლის ცოდნისა და კვალიფიკაციის შეფასების კრიტერიუმი. 3. თუ პრინციპულ საკითხად იქნება ქცეული ვალაუვალობის

დარგის მოსამართლეთა მიერ გამოცდის ჩაბარება, მართებულად მიმაჩნია მოსამართლეები შეფასდნენ ისეთ დარგებში, რომელთაც ვალაუვალობის დარგთან მჭიდრო კავშირი აქვს, რადგანაც მოსამართლეთა საკვალიფიკაციო გამოცდა არსებული სტანდარტით, ვერ უზრუნველყოფს ვალაუვალობის მოსამართლეთა სათანადო მომზადებას.

ყოველივეს გათვალისწინებით, მართებული იქნება თუ ვიტყვით, რომ საერთო სასამართლოების სისტემაში აუცილებელია ვალაუვალობის დარგის დამოუკიდებელი სასამართლო აპარატის ჩამოყალიბება, მოსამართლეთა მიერ საკვალიფიკაციო გამოცდის სათანადო სპეციალიზაციით ჩაბარება, ხოლო, გამოცდის ჩაუბარებლობის შემთხვევაში სათანადო კვალიფიკაციის მოსამართლეთა შერჩევა და სასამართლოსათვის განცხადების განხილვისათვის გონივრული ვადის დადგენა.

- კანონის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სიახლეა მოვალის მართვაში დატოვება, რომელსაც გარკვეულ უფლებებთან ერთად ვალდებულებებიც გააჩნია. რადგანაც ასეა, უკვე აღნიშნული რეაბილიტაციის მმართველისა და ზედამხედველის გარდა, რეაბილიტაციის გეგმის მომზადების უფლებამოსილება მართვაში მყოფ მოვალესაც გააჩნია და თუ მან უნდა მოამზადოს რეაბილიტაციის გეგმა, სანამ ის კრედიტორებს წარუდგენს მას, ვალდებულია გაითვალისწინოს რეაბილიტაციის ზედამხედველის დასაბუთებული შენიშვნები (ასეთის არსებობის შემთხვავეში), რომელთა მიზანიც რეაბილიტაციის გეგმის პროექტის კანონთან შესაბაბისობაში მოყვანაა. როგორც ირკვევა, მართვაში მყოფი მოვალე ერთპიროვნულ გადაწყვეტილებას ვერ მიიღებს და მას ვალდებულება ეკისრება, გაითვალისწინოს რეაბილიტაციის ზედამხედველის არგუმენტები, მოსაზრებები და ა.შ. ვფიქრობ, რეაბილიტაციის ზედამხედველის მიერ განსახორციელებელი კონტროლის მექანიზმი მოვალის გადაწყვეტილებებზე თავიდან აირიდებს სხვადასხვა პრობლემას, რაც შეიძლება, კანონის არ ცოდნით იყოს განპირობებული. გარდა ამისა, რეაბილიტაციის გეგმა არ უნდა ლახავდეს კრედიტორთა უფლებებს და იგი მოვალის ფინანსურ მდგომარეობასთან

შესაბამისობაში უნდა მოდიოდეს. კიდევ ერთხელ ცალსახაა, რომ კანონი ძირითადად მოწოდებულია მხარეთა ინტერესების თანაბარ დაცვაზე, რასაც მოცემული ნორმაც ცხადყოფს, ზედამხედველის აქტიური ჩართულობის სახით. შესაბამისად, ეს ერთ-ერთი მყარი არგუმენტია იმის სათქმელად, რომ რეაბილიტაციის რეჟიმი მხარეთა ინტერესების დაცვის საუკეთესო საშუალებაა, რისი შესაძლებლობაც ახალი კანონის ფარგლებში აბსოლუტურადაა უზრუნველყოფილი.

- „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ კანონი ახალ რეგულაციებს გვთავაზობს კრედიტორთა მიერ რეაბილიტაციის გეგმის მოწონების სახით. „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ კანონისაგან განსხვავებით, მოქმედი კანონი უზრუნველყოფილ კრედიტორებს უპირატეს მდგომარეობაში არ აყენებს. ის, რომ უზრუნველყოფილი კრედიტორების ინტერესების მაქსიმალური დაკმაყოფილებისაკენ იყო 2007 წლის კანონი მიმართული, რასაც უარყოფითი გავლენა ჰქონდა სამართლებრივი, სოციალური, ეკონომიკური და სხვ. მხრივ, ჩვენთვის ნათელია. სწორედ, ამ და სხვა პრობლემატურ საკითხთა აღმოფხვრას ემსახურებოდა კანონის მიხედვით ის, რომ ყველა კრედიტორი თავიანთი იმ მოთხოვნის ღირებულების პროპორციულად იღებენ რეაბილიტაციის გეგმის პროექტის მოწონებაში მონაწილეობას, რაც კრედიტორთა რეესტრში არის დაფიქსირებული. მოცემული ცვლილება, ცალსახად უზრუნველყოფს უპირველეს ყოვლისა მოქმედი კანონის სახელის ინტერესების უზრუნველყოფასაც კი, კერძოდ კრეტიტორთა კოლექტიურ დაკმაყოფილებას. უპირატესობების გაქრობა კანონმდებლიდან მყარ საფუძველს ქმნის, რათა თავისუფლად ვისაუბროთ, რომ კანონის ფარგლებში კრედიტორთა თანასწორობა უზრუნველყოფილია.

- შეუძლებელია აღნიშვნის მიღმა დარჩეს მომრიგებელი საბჭო, რომელსაც მოქმედი კანონი აღარ ითვალისწინებს. მას წინამორბედი კანონით უდიდესი უფლებამოსილებები ჰქონდა მინიჭებული, როგორც რეაბილიტაციის გეგმის

ჩამოყალიბებაში, ისე კრედიტორების მიერ მის მოწონებაზე. ვფიქრობ, მომრიგებელი საბჭოს არსებობა საფრთხის შემცველად შეიძლებოდა მიგვეჩნია, უამრავი მიზეზის გათვალისწინებით. მაგალითად, საბჭო მიკერძოებული ყოფილიყო. რაც, რა თქმა უნდა, გარკვეულ შემთხვევებში, როგორც მოვალის, ისე კრედიტორის ინტერესებს დააყენებდა საფრთხის ქვეშ. შესაბამისად, ნათელია რომ ახალმა კანონმა მომრიგებელი საბჭოს გაუქმებით კანონის მაღალი სტანდარტი და მხარეთა ინტერესების მაქსიმალურად დაცვის სტანდარტი აჩვენა.

- ის, რომ ახალი კანონი უფრო მოქნილი, თანამედროვე და მხარეთა ინტერესებზეა მორგებული, ადასტურებს ალტერნატიული პროცედურის გამოყენება. მაგალითად, წერილობითი თანხმობის გაცემა, ელექტრონული მიმოწერა, დისტანციური მონაწილეობა და სხვ. ვფიქრობ, ეს კანონის თანამედროვეობის ნაწილად აღქმისთვის წინ გადადგმული დიდი ნაბიჯია. ხოლო, კრედიტორისათვის შესაძლებლობა, მაქსიმალურად იყოს რეაბილიტაციის რეჟიმის აქტიური მონაწილე. გარდა კონკრეტული კრედიტორისთვის მოქნილობისა, ალტერნატიული პროცედურის გამოყენება მნიშვნელოვანია საორგანიზაციო კუთხით, განსაკუთრებით მაშინ, თუ რეაბილიტაციის რეჟიმში კრედიტორთა სიმრავლეა, რაც არც თუ ისე იშვიათი შემთხვევაა.

- კანონის თანახმად, რეაბილიტაციის გეგმის პროექტს კრედიტორები იწონებენ. იმისათვის, რომ კრედიტორთა გადაწყვეტილება უნარიანი იყოს საჭიროა უბრალო უმრავლესობის თანხმობა, რაც 50+1 ხმას გულისხმობს. ხმის მიცემა ერთ-ერთი ძირითადი ელემენტია პროცესისა, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს მოვალის არსებულ და სამომავლო საქმიანობაზე და კრედიტორთა მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე. მოქმედი კანონი, განსახილველ სხვა საკითხებთან მიმართებაში 75%-იან ზღვარს აწესებს. ვფიქრობ, კრედიტორთა უმრავლესობის ინტერესების დასაცავადაც 75%-იანი ბარიერი უნდა დადგინდეს

და არა უბრალო უმრავლესობა. ეს შეამცირებს რისკს იმ კრედიტორებისათვის, რომელთა მოთხოვნა დომინირებული არ არის.

- განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია, მხარეთა ინტერესების დაცვის საშუალება - მოვალესთან დაკავშირებული პირების სახით. კენჭისყრის შედეგებში არგაითვალისწინება მოვალესთან დაკავშირებული კრედიტორების ხმები. აღნიშული ნორმა პროცესში თანაბრად იცავს როგორც მოვალის, ასევე, უზრუნველყოფილი კრედიტორების ინტერესებს. იმ შემთხვევაში, თუ არაუზრუნველყოფილი კრედიტორი მოვალესთან დაკავშირებული პირი იქნება, რა თქმა უნდა, მოვალის ინტერესების საკეთილდღეოდ იმოქმედებს, რაც უზრუნველყოფილი კრედიტორების ინტერესებს შელახავს. ახალმა კანონმა, ასევე დაადგინა ისეთი გარემოებები, თუ როდის ჩაითვლება კრედიტორი მოვალესთან დაახლოებულ პირად. ეს ყოველივე კი უნდა დადგინდეს რეაბილიტაციის ზედამხედველის/მმართველის მიერ მოვალის საქმიანობის ანგარიშის შემოწმების შედეგად. მოცემული დანაწესი, ნათელი მაგალითია იმისა, რომ მოქმედი კანონი მხარეთა თანასწორობის უზრუნველყოფის მოწოდების სიმაღლეზეა.

აღნიშული დასკვნები და რეკომენდაციები ეჭქვეშ არ აყენებს მოსაზრებას, რომ რეაბილიტაციის რეჟიმი ვალაუვალობის წარმოების მონაწილეთა ინტერესების განხორციელების ეფექტური და უალტერნატივო საშუალებაა. თითოეული რეკომენდაცია, მოწოდებულია ვადაუვალობის დარგის, მისი მომწესრიგებელი კანონისა და რეაბილიტაციის რეჟიმის მაქსიმალურად სრულყოფისაკენ.

სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი შინაარსი გამოქვეყნებულია შემდეგ პუბლიკაციებში

სტატიები:

1. მოვალე საზოგადოების მართვასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი რეაბილიტაციის რეჟიმში, ჟურნალი: სამართალი და მსოფლიო, 24-ე ნომერი, თბილისი, 2022;
2. ვალაუვალი მოვალის აქტიური როლი რეაბილიტაციის რეჟიმში, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, თანამედროვე სამართლის გამოწვევები, თბილისი, 2022;
3. ვალაუვალობის სასამართლო რეაბილიტაციის რეჟიმის საქმის წარმოებაში, ჟურნალი: სამართალი და მსოფლიო, 25-ე ნომერი, თბილისი, 2023;
4. „მორატორიუმის ღონისძიება რეაბილიტაციის რეჟიმის წარმოებაში“, ჟურნალი: სამართალი და მსოფლიო, 26-ე ნომერი, თბილისი, 2023;
5. ბიზნეს-სამართლებრივი პოლიტიკა მოვალის რეაბილიტაციის ფარგლებში, ჟურნალი, გლობალიზაცია და ბიზნესი, 2023;
6. Creditor in Rehabilitation Regime, 4th International Scientific and Practical Internet Conference "Integration of Education, Science and Business in Modern Environment: Winter Debates" devoted to the search for latest ideas for development at international, national and regional levels, International Electronic Scientific and Practical Journal “WayScience”, Ukraine, 2023;

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციები:

1. რეაბილიტაციის მმართველის სამართლებრივი სტატუსი „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების“ კანონისა და „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა

კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ კანონის ანალიზის საფუძველზე. კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მე-8 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, თბილისი, 2020;

2. სასამართლოს როლი, რეაბილიტაციის რეჟიმის განცხადების წარმოებაში მიღებისას, თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის III ონლაინ საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული ინტერდისციპლინური კონფერენცია, 28 მაისი, თბილისი,2022;
3. „სახელმწიფო, როგორც პრივილეგირებული კრედიტორი რეაბილიტაციის რეჟიმში“, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მე-11 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, თბილისი, 2023;

Caucasus International University

Meri Ketiladze

Rehabilitation regime as an effective means of implementing the interests of the participants in the insolvency process

Abstract dissertation Presented for the academic degree of Ph.D. in Law

Scientific supervisor - **Roin Migriauli**

Doctor of Laws,

Associate Professor of Caucasus International University

Tbilisi, 0141, Georgia, 2024

Scientific Supervisor: **Roin Migriauli**

Doctor of Law, Associate Professor of Caucasus International University

Official reviewers:

Nino Kharitonashvili - Doctor of Law, Associate Professor of Caucasus International University

Giorgi Jugheli - Doctor of law, Professor of Free University

Defense of the dissertation shall take place on March 09, 2024, 16:00 PM,

at the Dissertation Council of the Faculty of Law of Caucasus International University

Address: Room 305, Building 1 of Caucasus International University, Chargali Str. No73, 0141, Tbilisi, Georgia

Dissertation is accessible at the library of the Caucasus International University

Secretary of the Dissertation Board: **Aleksandre Giorgidze**

Doctor of Law, Associate Professor of Caucasus International University

Annotation

Dissertation topic "Rehabilitation regime as an effective means of implementing the interests of the participants in the insolvency process" refers to such an important regime in the field of insolvency as rehabilitation. The rehabilitation regime is not new to the legislative field of our country. It was established as a result of the 2001 amendments to the Law on Bankruptcy Proceedings of 1996. Then there was the law on Insolvency Proceedings of 2007. And, in 2021, a new law on "Rehabilitation and Collective Satisfaction of Creditors" was adopted and entered into force on April 1st, which offers different regulations compared to its predecessor. Accordingly, one of the goals of the research topic of the dissertation was the discussion of important innovations related to the regime of rehabilitation of Insolvency in modern Georgian law.

The innovations discussed in the piece of work are of equal interest and importance for the parties of the rehabilitation regime, which are represented by the debtor and the creditor. They are granted with independent rights and duties by the law. Nevertheless, they are closely related. That is why the existing legal norm for each party, which creates a standard of legal relations, leads to a legal result for both parties.

I think that the rehabilitation regime is an effective means of implementing the interests of the participants in the proceedings of insolvency. That is why, the effectiveness of the rehabilitation regime is discussed and investigated in the piece of paper, both from the point of view of the debtor and the creditor, based on the new law. Under the law of 2007 on Insolvency Proceedings the rehabilitation regime was neglected in all its advantages and the bankruptcy regime was preferred. That is why, immediately after the law had been passed, it received a lot of criticism, and the issue about its replacement soon became active. Based on the existing experience, the legislator set the implementation of the rehabilitation regime as the primary goal of the new law. The advantage of the rehabilitation regime is reflected not only on the debtor and the creditor, but also on the economy of the country and labor market. Accordingly, this gives us the opportunity to consider bringing the regime to the fore on a broader

scale, both in terms of maintaining and increasing capital within the country, as well as attracting foreign assets.

In addition to internal legal acts and works of Georgian scientists, the piece of work uses the legislative acts of different countries and the manual literature of the field, which, based on a comparative analysis, gave us a wide area to speak about the pros and cons of Georgian legislation.